საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№60/14 „18“ ივნისი 2014 წ.

შ.პ.ს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“-ს
დირექტორს, ბატონ ალექსანდრე ჯავახიშვილს.

შემოწმება ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ძმები ორბელიანების ქუჩა №7-ში მდებარე არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“-ს ტერიტორიაზე მდებარე ორ სართულიან საბავშვო ბაღის შენობას. შემოწმების მიზანი იყო დადგენილიყო მიაყენებს თუ არა საბავშვო ბაღის მეორე რიგის მშენებლობა საკვლევ ორ სართულიან შენობას. როგორც აღინიშნა, არსებული საბავშვო ბაღი ორ სართულიანია, გეგმაში მართკუთხა მოხაზულობით ზომებით l×b≈55×21მ. შენობა კონსტრუქციულად რკინაბეტონის ჩარჩოვანია. სართულშუა გადახურვებად გამოყენებულია ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილები. სახურავის ტიპი ბრტყელი, რბილი.

შემოწმებით დადგინდა, რომ საბავშვო ბაღის შენობას რამდენედმე მნიშვნელოვანი კონსტრუქციული სახის დაზიანებები და დეფორმაციები არ აღენიშნება და იმყოფება დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაში.

საპროექტო (საბავშვო ბაღის მეორე რიგის) შენობა ერთ სართულიანია, გეგმაში Г-სებრი მოხაზულობით. შენობის გრძელი მხრის ზომა l=31.3მ. სიგანე b=7.40მ. საპროექტო შენობა არსებული შენობისაგან დაშორებულია 300სმ.-ით. მათი შეუღლება განხორციელდება „გ“ „დ“ და „1“÷“3“ ღერძებს შორის (ანტისეისმური ნაკერის გათვალისწინებით). საპროექტო შენობის ფუძედ მიიღება ძირითადი ქანები, ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა. საპროექტო შენობას არგააჩნია სარდაფი და ამდენად არ მოითხოვს ღრმა ქვაბულის მოწყობას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შ.პ.ს. მონოლითი გაცნობებთ, რომ საპროექტო ერთ სართულიანი შენობა არ იქონიებს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას არსებული შენობისათვის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლოატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/